ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N7

2 ივლისი

2024 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N7

ქ.სამტრედია 2 ივლისი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 2 ივლისს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მე-18 ქუჩისთვის სახელის და შეცვლისა და შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხებოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მე-18 ქუჩისთვის სახელის შეცვლასა და შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭებას.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელთან შემოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მცხოვრებთა განცხადება, სადაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მე-18 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) შალვა ნუცუბიძის სახელი. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება.

სოფელ დიდი ჯიხაიშის მე-18 ქუჩის მცხოვრებთა განცხადებიდან ირკვევა, რომ მე-18 ქუჩა იწოდებოდა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ქუჩად. რამდენიმე წლის წინ შეეცვალა სახელი და მიენიჭა მე-18 ქუჩის სახელი. მოსახლეობის სურვილია დაუბრუნდეს ქუჩას ძველი სახელწოდება და კვლავ შალვა ნუცუბიძის ქუჩად იწოდებოდეს. განცხადებას თან ახლავს მოსახლეობის ხელმოწერები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

გიორგი ლეჟავა - შალვა ნუცუბიძე გახლდათ მსოფლიო დონის მეცნიერი, ფილოსოფოსი, რუსთველოლოგი, მთარგმნელი, ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული სკოლის დამფუძნებელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პრორექტორი. მხარს ვუჭერ ზემოაღნიშნულის განხორციელებას.

გოჩა არველაძე - ვემხრობი, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის განცხადება და მე-18 ქუჩას დაუბრუნდეს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სახელი. ის გახლდათ სახელოვანი პიროვნება. <u>1919</u>-<u>1921</u> წლებში <u>საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი</u> იყო . ასევე დავამატებ, რომ გერმანიაში მოღვაწეობისას მან სათავე დაუდო ორიგინალურ ფილოსოფიურ მოძღვრებას ალეთოლოგიას.1930-იან წლებში ქართული ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას შეუდგა და <u>ქართველოლოგიის</u> ახალ დარგს, ქართული ფილოსოფიის ისტორიას ჩაუყარა საფუძველი.დაამტკიცა <u>პეტრე იბერისა</u> და <u>ფსევდო-დიონისე არეოპაგელის</u> იდენტობა, რასაც შემდეგში ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია ეწოდა.

აკაკი მინაშვილი - ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ შალვა ნუცუბიძე არ იყო სათანადოდ დაფასებული და ვეთანხმები, რომ მე-20 საუკუნის საუკეთესო მოაზროვნის სახელი იყოს უკვდავყოფილი.მხარს ვუჭერ ამ გადაწყვეტილებას.

ნუგზარ ჯამბურია -ძალიან კარგი წამოწყებაა. სახელოვან ადამიანებს უნდა აღვუდგინოთ სახელი მისი ღირსების შესაბამისად. წარსული არ უნდა იყოს მივიწყებული. გეთანხმებით, რომ უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების სურვილი და სოფელ დიდი ჯიხაიშის მე-18 ქუჩას ეწოდოს ღირსეული მამულიშვილის, შალვა ნუცუბიძის სახელი.

ირაკლი მელაშვილი - მივესალმები მოსახლეობის მოთხოვნას. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ასეთ ისტორიულ საქმეში ვიღებ მონაწილეობას. მიეცეს საკითხს მსვლელობა. შემდგომი ეტაპი იქნება სოფელ დიდი ჯიხაიშში გასვლითი კომისიის სხდომა მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (9 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხს მიეცეს მსვლელობა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის თავმჯდომარე: */ირაკლი მელაშვილი/*

სხდომის მდივანი: */ნათია დოლიძე/*